საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N8406/03 **2026-07-06**

ბატონ გიორგი ქუთათელაძეს
მისამართი: იოსებიძის ქუჩა №53, ბინა №38
თბილისის, საქართველო
ტელ.: 595 95 05 59

ბატონო გიორგი,

საქპატენტის 2026 წლის 15 ივნისის №7472/03 წერილის პასუხად თქვენ მიერ 2026 წლის პირველ ივლისს №AC913824 განცხადებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე‘‘.

თქვენს მიერ წარმოდგენილ შპს. „შროშანსა“ (ს/კ 211323771) და ინდ. მეწარმე გიორგი ქუთათელაძეს (ს/კ 01024019583) შორის 2026 წლის 25 ივნისს გაფორმებულ სასაქონლო ნიშნის გადაცემის ხელშეკრულებაში უფლებების მიმღების ინდ. მეწარმე გიორგი ქუთათელაძის (ს/კ 01024019583) მისამართად მითითებულია, თბილისი გაზაფხულის ქ. №69, მაშინ როცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის 2018 წლის 2 თებერვლის (B18010516) ამონაწრის შესაბამისად ინდ. მეწარმე გიორგი ქუთათელაძის (ს/კ 01024019583) მისამართად ფიქსირდება: ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი, იოსებიძის ქ. №53, ბ. №38 .

ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის შესაბამისად შპს „შროშანის“ (ს/ნ 211323771) სტატუსად ფიქსირდება შემდეგი „რეგისტრაცია შეჩერებულია კანონის 254-ე მუხლის საფუძველზე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, საქპატენტის 2026 წლის 15 ივნისის №7472/03 წერილით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოთ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრთან შესაბამისობაში მყოფი უფლებების გადაცემის აქტი და ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მოახდინოთ შპს „შროშანის“ (ს/ნ 211323771) სტატუსის ცვლილება და მიუთითეთ აქტიური, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი 2026 წლის 10 ივნისის თქვენი R 12854-3/2026 განცხადება დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი

დარეჯანი მჭედლიძე